

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №

2023 წლის _____ იანვარი, ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 206-ე, 207-ე და 208-ე პუნქტები:

| № | მისამართი | ობიექტის დასახელება | საკადასტრო კოდი | ობიექტის მონაცემები | |
|-----|---|--|-----------------|---------------------|-----------------------|
| | | | | მიწის ფართი (კვ.მ.) | შენობის ფართი (კვ.მ.) |
| 206 | ქ. ბათუმი, გიორგი კვინიტაძის №1-ის მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.31.148 | 144 | — |
| 207 | ქ. ბათუმი, დასახლება კახაბერი | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.19.204 | 60 | — |
| 208 | ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის №43-ის მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.24.03.871 | 277 | — |

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 206-ე, 207-ე და 208-ე პუნქტები:

| № | მისამართი | ობიექტის დასახელება | საკადასტრო კოდი | ობიექტის მონაცემები | | საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი) | აუქციონის ფორმა (უპირობო/პირობებიანი) | ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|-----|---|--|-----------------|---------------------|---------------------|---------------------------------------|---------------------------------------|--|
| | | | | მიწის ფართობი (კვმ) | შენობის ფართი (კვმ) | | | |
| 206 | ქ. ბათუმი, გიორგი კვინიტაძის №1-ის მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.31.148 | 144 | — | 56 600 | უპირობო | ხელშეკრულების გაფრომებიდან 15 კალენდარული დღე |
| 207 | ქ. ბათუმი, დასახლება კახაბერი | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.32.19.204 | 60 | — | 21 100 | უპირობო | ხელშეკრულების გაფრომებიდან 15 კალენდარული დღე |
| 208 | ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის №43-ის მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.24.03.871 | 277 | — | 310 000 | პირობებიანი | ხელშეკრულების გაფრომებიდან 30 კალენდარული დღე |

გ) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის (დანართი 2) მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | | | | |
|----|---|--|--------------|-----|---|--------|-------------|-----------------------------------|
| 17 | ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის №43-ის მიმდებარედ | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა | 05.24.03.869 | 607 | — | 680000 | პირობებიანი | ხელშეკრულების გაფორმებიდან 03 თვე |
|----|---|--|--------------|-----|---|--------|-------------|-----------------------------------|

დ) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხიდან (დანართი 1) ამოღებულ იქნას 86-ე და 159-ე პუნქტები.

ე) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმიდან (დანართი 2) ამოღებულ იქნას 86-ე და 159-ე პუნქტები.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი მათი განკარგვის მიზნით.

საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში 17-ე პუნქტად შეტანილია ქ.ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის №43-ის მიმდებარედ არსებული 653.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.24.03.059). ქალაქ ბათუმის მერიაში წარმოდგენილია ფიზიკური მედეა ქორიძის (პ/ნ №61001015558) №19/1422280101-14 (17.10.2022წ) განცხადება მიწის ნაკვეთის ნაწილის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის გაერთიანების და შემდგომში შესყიდვის თაობაზე. მერიის მიერ განხორციელდა №05.24.03.059 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის კორექტირება და მის მომიჯნავედ მერიის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან გაერთიანება. შესაბამისად შეტანილი უნდა იქნას ცვლილება ნუსხასა და გეგმაში ხსენებულ კოდზე (პუნქტი 17). ხოლო საპრივატიზებოდ საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში და გეგმაში შეტანილი უნდა იქნას კორექტირებისა და გაერთიანების შედეგად №05.24.03.871 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 277.00 კვმ მიწის ნაკვეთი, რომლის საბაზრო საპრივატიზებო თანხად გამოყენებული იქნა კორექტირებამდე №05.24.03.059 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შეფასება (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა №001161222, 24.02.2022წ.) დასკვნის შესაბამისად 1 კვმ მიწის ღირებულება განსაზღვრულია 1116 ლარად. შესაბამისად №05.24.03.871 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 277.00 კვმ მიწის ნაკვეთის ღირებულებად საბოლოოდ განსაზღვრული უნდა იქნას 310 000 ლარით.

საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში 86-ე პუნქტად შეტანილია ქ.ბათუმი, თამარის დასახლება 42-ის მიმდებარედ არსებული 32.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.30.15.166). მიწის ნაკვეთზე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონი ჩაიშალა ორგზის. ამასთან ქალაქ ბათუმის მერიაში შემოსულია ფიზიკური პირი ბესიკ აბულაძის (პ/ნ №61009022148) №19/1422360302-14, (26.12.2022წ) განცხადება, სადაც განმარტავს, რომ კერძო საკუთრებაში დაგეგმილი მშენებლობის გამო ესაჭიროება მისასვლელი გზა. შესაბამისად ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან (პუნქტი 86) და მისი ნაწილის გზის დანიშნულებით გამოყენებაზე მიეცეს თანხმობა ბესიკ აბულაძეს.

საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში 159-ე პუნქტად შეტანილია ქ.ბათუმი, პარიზის კომუნას ქ. №7-ში არსებული 52.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.29.24.112). მიწის ნაკვეთზე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონი ჩაიშალა ორგზის. ამასთან ქალაქ ბათუმის მერიაში შემოსულია ფიზიკური პირი ირაკლი აბაშიძის (პ/ნ №61003002927) №19/1422322108-14, (18.11.2022წ) განცხადება, სადაც განმარტავს, რომ კერძო საკუთრებაში დაგეგმილი მშენებლობის გამო ესაჭიროება მისასვლელი გზა. შესაბამისად ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან და გეგმიდან (პუნქტი 159) და მისი ნაწილის გზის დანიშნულებით გამოყენებაზე მიეცეს თანხმობა ირაკლი აბაშიძეს.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში ცვლილებების შეტანა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე